№ 33 15 თებერვალი, ოთხშაბათი 1866—1878 15 თებერვალი, ოთხშაბათი № 33

ᲧᲚᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: სოლოლაკზე, სერგი ეის ქუჩაზე, Ივ. Ამირაგოვის სახლში, № 8.

ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐ: სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირაგოვის სახლებში, № 8.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲬᲔᲠᲚᲐ მიიღება კანტორაში. Ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: ერთ სტრიქონებით ასოზე—1 კ.პ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციფროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ აქვს გაახწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲧᲚᲔᲚ-ᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲓᲠᲝᲔᲑᲐ"

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲬᲔᲠᲚᲐ: თბილისში, რედაქციის კანტორაში (სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირაგოვის სახლებში, № 8).

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ მცხოვრებთათვის ადრესი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба."*

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისა—8 მან., ½ წლის—4 მან. და 50 კაპ., ოთხი თვის—3 მან.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲛ

(ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ)

10 თებერვალს სულ გავიდნენ ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲘᲓᲐᲛ ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ჯარები და ჩვენმა ჯარმა დაიჭირა ეს ქალაქი, სადაც ამ დროს სრული მშვიდობიანობა ჰუფეედა. დარჩნენ მხოლოთ ყარაულები, რომელნიც იცვენ იმ საქონელს, რომელიც, დროებით მორიგების პირობის ძალით, ჩვენ უნდა გადმოგვცენ.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 10 თებერვალს. ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ მმართებლობამ იყიდა კიდევ ერთი ჯავშნიანი ხომალდი, რომელიც ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ იყო დამზადებული, და შეუკვეთა 150,000 ᲰᲔᲜᲠᲘ ᲛᲐᲠᲢᲘᲜᲘᲡ სისტემის თოფი.

ᲐᲗᲘᲜᲐ, 9 თებერვალს. ᲙᲐᲜᲓᲘᲘᲡ კუნძულის დროებით მმართებლობამ გამოაცხადა, რომ იმას აღარ ჰურს ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲗᲐᲜ მოლაპარაკება.

ᲙᲘᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 13 თებერვალს. (ოფიციალური). დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ მოიწერა სან-სტეფანოდამ (სტამბოლიდამ 10 ვერსზედ) 12 თებერვალს შემდეგი დეპეშა:

„დღეს, ღამის 4 საათზე, ხანთქრის ნება-დართვით სან-სტეფანოში მოვედი რკინის გზით. დღეს შეედიეარო (სტამბოლში უნდა იყოს): პრეობრაჟენსკი პოლკი, შუკოვი ყაზახებითა და კანეოის როტა ჩემთან. ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲑᲛᲐ დაგვითმეს ადგილი. რკინის გზის სტანციაზე მეჰვედ-ალი-ფაშა და ბერძნების სამღვდელოება მომეგება. ჩვენი ჯარები კარგათ არიან; მშვიდობიანობაა."

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 9 თებერვალს. მინისტრმა ნირტკოტმა სთქვა პალატაში, რომ რუსეთმა პირობა მოგვცაო, რომ არ დაიჭერს ᲑᲐᲚᲘᲞᲝᲚᲘᲡ ნახევარ-კუნძულს და ᲑᲝᲜᲐᲘᲠᲘᲡ და არც ᲓᲐᲠᲓᲐᲜᲔᲚᲘᲡ ᲐᲖᲘᲘᲡ ნაპირას გაგზავნის თავის ჯარებს; ჩვენც, ნგლისმაც, დავდეევით პირობაო, რომ არც ჩვენ დაიჭერს ᲑᲐᲚᲘᲞᲝᲚᲡ და ᲓᲐᲠᲓᲐᲜᲔᲚᲘᲡ ᲐᲖᲘᲘᲡ მხარეს.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 11 თებერვალს. მორიგების პირობებში, სხვათა შორის, რუსეთმა მოსთხოვა ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲡ 6 ჯავშნიანი ხომალდი, რადგან ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲡ უპირებს მიცემასაო; მაგრამ, რადგან ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲛᲐ სიტყვა მისცა, რომ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲡ არ დუთმობს თავის ხომალდებს, ამის გამო რუსეთმაც ხელი აიღო ამ მოთხოვნილებაზე. მალე მშვიდობიანობის ჩამოგდებას მოელიან. დ. მ. დუნაის არმიის მთავარ-სარდალი სტამბოლში ეწვევა სულთანს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲔᲠᲗᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲣᲤ. ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲫᲔᲡ

ᲔᲠᲗᲘ რამ უნდა ეკითხოთ, უფ. ნიკოლაძეს და სრული იმედი გვაქვს, ის, რომ რომელსაც თავის დროში არ გაჭირვებია პასუხის გაცემა ანუ პასუხის გება, ამ კითხვაზე სინიდისიან პასუხს მოგვცემს:

Უთხარით, თუ არ, თქვენ, უფ. ნიკოლაძე, ამ შაბათს უფ. Იაკობ Ბოგდანოვიჩისა და სტეფანე მელიქიშვილს, და იქნება კიდევ ხვებსაც, რომ იმ დღეს, თქვენს გაზეთში დაბეჭდილი სტატია „Туземная печать", არ გეკუთვნის თქვენ, რომ ის სტატია დაწერა ვიღაც უფ. ᲨᲣᲙᲝᲕᲐ, რომელსაც თქვენ მიეცით პროგრამმა—თუ როგორი ჰაზრით უნდა დაეწერა?

Უთხარით, თუ არა, თქვენ ზემოხსენებულ პირთ, რომ ᲨᲣᲙᲝᲕᲐ ვერ გაიგო თქვენი პროგრამმა, თქვენი ჰაზრი და რაღაც სულელობა დასწერა, რომ თქვენ დასწერთ ამ საგანზედვე სხვა სტატიას, რომელშიაც გამოთქმული იქნება ნამდვილი შეხედულობა „ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡᲐ", ანუ საკუთრივ თქვენი, ქართულ-სომხურ ჟურნალისტიკის მნიშვნელობ ზე და ი ჰაზრი სრულებით არ ემსგავსება უფ. ᲨᲣᲙᲝᲕᲘᲡᲐᲒᲐᲜ თქვენსავე გაზეთში გამოთქმულს ხეპრულს, სულელურს ჰაზრებ!

თუ ოთხარით (და რომ უთხარით, ეს ნამდვილია), მაშ დღეს (№ 43) რაღათ დამლერით იმავე ანგზე? დღეს რაღათ ამართლებთ, რაღათ იცვავთ იმავე ჰაზრებს, რაც შაბათს „ხეპრულად და სულელურად" მოგვჩვენათ და რისთვისაც იმთქვენს თანამშრომელს ისეთი სახელი დაუძახეთ, რომლის ხმარება ᲑᲘᲜᲐᲨᲘ მიღებული არ არის?

ᲐᲛ დღეანდელსავე სტატიაში თქვენ გვპირდებით, უფ. ნიკოლაძე, რომ „ᲓᲠᲝᲔᲑᲐᲡ" ცალკე პასუხს მისცემთ იმ შენიშვნაზე, რომელიც კვირის ფელეტონში იყო დაბეჭდილი,—და გთხოვთ, ამ ზემორე მოყვანილ კითხვებზედაც ბარემ მაშინ მოგვეცით პასუხი.

რაც შეეხება თქვენს კუდაბზიკურ ტრაბახობას, რომ, სანამ თქვენ არ გაუჩნდით ქართულ ჟურნალისტიკას, მანამ ის დაღუპული, დაცემული, უმნიშვნელო იყო, და გაჩნდით თუ არა, ამ ლიტერატურას ღონე, ძალა მიეცა, გაცხოველდა, გაჩაღდა და სხვ.,—ეს ამ გვარი ტრაბახობა თქვენგნით არ გვაკვირვებს, რადგან მიჩვეული ვართ... მაგრამ, თუ საჭიროება მოითხოვს, თქვენივე დაბეჭდილი სტატიების ციტატებით დაგიტკიცებთ, რომ ადრე, ამ სამი-ოთხი წლის წინეთ, ამ საგანზედ თქვენ ამისთანა ჰაზრის არ იყავით. ᲑᲘᲜᲐᲠᲔᲑᲐᲛᲐ მეხსიერება არ უნდა დაგიკარგოსთ....

Ს. Მ.

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

*** თბილი, წყნარი დღეები დადგა ჩვენს ქალაქში; მაგრამ უბედურობა ეს არის, რომ ამ ჰაერის გათბობისა-თანავე ჩვენ შიშიც გვემატება, რადგან ექიმები გვეუბნებიან, რომ სითბოსთან ერთად სხვა-და-სხვა ავათმყოფობაც გაძლიერდებაო...

თუ ეს ასეა, მაშ ᲭᲐᲠᲗᲚᲡᲐ და ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲡ ჯერ ჯერობით მაინც არაფრის შიში უნდა ჰქონდეს, რადგან ამ მხრიდამ მოგვდის ამბავი, რომ ამ უკანასკნელ დღეებში იქითკენ დიდი თოვლი მოსულა და ქარი, დაბუქიატყდაო..

*** ᲮᲕᲐᲚᲘᲜᲓᲔᲚᲡ სხლომაზე ჩვენს ქალაქის ᲑᲐᲛᲒᲔᲒᲛᲝᲑᲐᲡ, სხვათა შორის, შემდეგ ორ უფრო საინტერესო საგანზე იქნება სჯა: ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ წინადადებაზე ქალაქის გასუფთავების (გაჯანსაღების (

შეახებ და რევიზიის კომისიის მოხსენებაზე 1876 წლის ქალაქის შემოსავალ-გასავლის შესახებ.

*** ბორიდამ გვწერენ, რომ დღემდინ გაზაფხულობას აპირებდა ჩვენკენაო, მაგრამ დღეს კიხელ-მეორედ მოგვებრუნდა ზამთარიო. ამ კვირას ისეთი საშინელი თოვლი, ნამქერი იყო, რომ სახლიდამ კაცი ვერ გამოვდიოდითო.

„თუ ამისთანა ცუდი ამინდები დაიჭირა, ხელ-მოკლე კაცს ძალიან გაუჭირდება წელს ცხოვრებაო, გვწერს კორრესპონდენტი. შეშისა და პურის სიძვირემ ძალიან შეგვაწუხაო, და ხეირიან ხორცს კი ბორში ამ ქამად აპაზათ ვერ იშოვნი გირვანქაოო.“

„დროების“ კორრესპონდენცია

ოზურგეთი, 4 თებერვალს. ეს არის, ამ წამას მე გავიცანი ერთი სომეხი, რომელიც ბათუმიდან მოვიდა. ახლანდელ ომის გამოცხადების დროს, ის დარჩენილიყო ბათუმში და ვეღარ გამოსულიყო აქამდის. ის დასწრებოდა სხვათა შორის იმ დროს, როცა ოსმალები ციხის-ძირის სიმაღლეს და ყვირიკეს ამაგრებდნენ სანგლებინ და თხილებინ. ყვირიაკეზე იმათ გამოეჩინათ რამდენიმე ძველი საფლავები და ეკეტრები სულ თლილი ქვით ანაგები. ამ საფლავებში ზოგიერთი გვამები ძალიან კარგათ შენახულიყვენ, თუმცა კი ეტყობოდათ, რომ სულ უძველესი დროისანი უნდა ყოფილიყვენ.

ამ საფლავებში კაცის გვამებთან ენახათ ოქროსა და ვერცხლის სამკაულები, ოჯახის ჭურჭლები, მშვენიერათ მოჭრილი მანეთენი, მედლები და სხვა.

ის საფლავებს შორის ერთი მეტად ჩინებული და მდიდარი ანაგები ყოფილიყო, რომლის კედლები და სახურავი ერთიანი თეთრი მარმარილოს ქვებით ყოფილიყო ანაგები, ზედ წარწერილობაც სახურავის ფილაქანზე ქართულათ ყოფილიყო. ოსმალოს მუშებს სდომებოდათ საფლავისათვის თავი აეხადათ, მაგრამ ისე მაგრათ დაკირულიყო საფლავზე მარმარილოს სახურავი, რომ ვერას ღონის-ძიებით ვერ აეხადათ. ბოლოს დაჰკრეს ზედწარწერილს მარმარილოს ქვას წერაქვი და დაამსხვრიეს. საფლავში იდვა თითქმის გაქვავებული ლამაზი სახის (?) ქალი; თურმე შხვართი და წვრილი ხელის თითები ჰქონდა, ყურებში ეყარა მსხვილი დიდი ოქროს საყურები ალმასებით შემკული, თითზე ეცვა დიდი ოქროს ბეჭედი და შიგ უჯდა მოზდილი ალმასის თვალი. იქ დამსწრე ოსმალოს მიმბაშებს სამოც ლირათ ალეფაანებინათ მარტო ბეჭედი. ფერხთ ქვეშ მრავალი წვრილმანი ოქროს და ვერცხლის ნივთები და ორი მშვენიერი მოყვანილი და ლამაზი ნაკეთები ვერცლის სურა.

ის დროს ციხის-ძ რის ჯარებს წინამძღვრობდა ხასან-ფაშა. ეს ნივთები მიმბაშებმა და ნიზამებმა გაინაწილეს, მხედართ-მთავრისთვის თურმე არცკი შეუტყობინებიათ. ძველი საფლავები კი მიანგრმოანგრიეს, ძვირფასი ნივთები დაიტაცეს, კაცის ძვლები და სხვა ნაშთები გადაყარ-გადმოყარეს.

ბ. წ ერეთელი

ომის ამბები

აზიის ბრძოლის ველიდამ

ალექსანდრაპოლი, 9 თებერვალს. („დროების“ კორრესპონდენცია).

ამ თვის 2-ს გაცნობეთ, რომ 22 იანვარს აქ ალექსანდრაპოლში ყინვებმა უცბათ უკლეს 5 გრადუსამდინ; მას აქეთ ეს ყინვები მუდამ დღე კლებულობდა კიდევ ნახევარ-ნახევარ გრადუსით.

მადლობა ღმერთს! კიდევ, რაც უნდა იყოს, აქაურ მცხოვრებლებს, უმეტესად დაბალ ხალხს, ცოტათ თუ ბევრად მიეცა შეღავათი, თუმცა სიძვირე ყველაფრისა და შეშის უქონლობა ჯერ დღემდინ სუფევენ.

ყარსისა და ალაზანის გზებზედ კი ახლაც დიდ ყინვებს აჰბობენ; ეს რომ მართალია — შემდეგი გარემოება გვიმტკიცებს: წუხელის, ღამის შვიდ საათზე მივედოდი ფოშტის კანტორაში; მის ახლო ქუჩაზე ვნახე ახალად გაჩერებული და გამწკრივებული 30-დინ ფურგუნები ეს ფურგუნები სავსენი იყვნენ ავათმყოფი სალდათებითა.

— საიდგან მოგყავთ ეს ავათმყოფებიმეთქი, დავეკითხე ერთს მეფურგუნესა?

— ჰასსან-ყალიდგან, მიპასუხეს მათ.

მე წაველი კიდეც ფოშტაში, გამოველი, გავიარე ჩემ მეგობრებთან, საღაც დავრჩი ნახევარ საათს, გამოვიარე და ვნახე, რომ ეს ფურგუნები დაიძერნენ და დაეშვენენ თავიანთ ადგილებში. ამ გვარი შეჩერება ფურგუნებისა ავხსენი მით, რომ მანამდინ ავათმყოფების პატრონები ტყობილობდნენ: არის ადგილი, თუ არა მათთვის საავათმყოფოში. მალე იშოვნეს, თუ არა ადგილი სხვა საავათმყოფოში, არ ვიცი, რადგანაც მალე ავცილდი მათ.

დღეს ერთ გოსტინიცაში, პურის ჭამის დროს, ერთმა აფიცერმა სხვათა შორის სთქვა, რომ წუხელის მოეყვანათ ჰასან-ყალიდგან ფურგუნებით რამდენიმე სალდათები და აფიცრებიც; ფურგუნიდგან გადმოღების დროს ვნახეთ რამდენიმე სალდათი გაშეშებულნი; ერთს აფიცერსაც მოსძროლია მარტო ფეხის თითები, თუ მრთლად ფეხები, კარგათ ვერ გავიგეთ და ეხლა დასდგომიან ექიმები და ეუბნებიან, რომ უნდა მოგეჭრაოთ!

მაშ რა ნაირი ყინვები უნდა ყოფილიყო ჰასან-ყალის და ყარსის პირობებში მაშინ, როდესაც ალექსანდროპოლში იყო 20 გრადუსამდინ?

დღეს, 9 თებერვალს, უნდა გასულიყვნენ ოსმალოს ჯარები არზრუმიდამ; მაგრამ ამბობენ, ჩვენები ამ ქალაქში ჯერ არ შეველენო, რადგან ავათმყოფობას ერევიანო; მხოლოთ რუსის მმართებლობას დაეწესებენო!..

ბ. ზ—ძე

ზერიზების თაობაზე

გაზეთს „ახალ დროებაში“ დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა 6 თებერვალს ბენიდამ გამოგზავნილი:

„ნამდვილად შეეიტყე, რომ ამ ქამად ავსტრო-ბენგრიის პირველი მინისტრი გრაფი ანდრასი თხოულობს და ქადაგებს, რომ რუსეთს ომი უნდა გამოუცხადოთო, თუ რუმინიამ და ბულგარიამ ჯარები არ გაიყვანაო. თვითონ იმპერატორი ფრანც-იოსიფი კი ამ ჰაზრის წინააღმდეგია. უველაფერი ბასმარკზედ არის ახლა დამოკიდებული: ამბობენ, რომ ავსტრია და რუსეთი რომ შეეტაკნენ ერთმანეთს, ბერძენია არ გაერევა ამ ბრძოლაში, მხოლოთ იმას ეცდებაო, რომ იტალია და საფრანგეთი გაჩეროსო; თუ ეს მართალი გამოდგა, მაშინ ავსტრია და ინგლისი უეჭველია, რუსეთს ომს გამოუცხადებენ.“

—

მოგეხენებათ, რომ რუმინიის ნაციონალურმა ქებამ და სენატმა ერთხმად გადაწყვეტა უარი რუსეთის წინადადებაზე, რომ რუმინიამ დაუთმოს იმას ბესარაბია. უკანა ქვეყნის გაზეთებში მოყვანილია ახლა დაწვრილებითი ამბავი ის სხდომის თაობაზედ, რომელზედაც ეს საგანი ყოფილა განხილული. ნაციონალურს ქრებაში მინისტრის ოგალნიჩანუს, სხვათა შორის, ამ საგნის შესახებ უთქვამს:

„რუმინიის მმართებლობას მისცეს წინადადება რუმინიის ერთის ნაწილის — ბესარაბიის დათმობაზედ. ჩვენ, მინისტრები დარწმუნებული ვართ, რომ გამოვესთქვით მთელი რუმინიის ხალხის ჰაზრი და გრძნობა, როდესაც ამ წინადადებაზე პასუხად უთხარით: „ჩვენ არ შეგვიძლიან ბაგ საქმის ჩადენა.“ და როდესაც ჩვენ უთხარით, რომ „ჩვენ ამას ვერ ჩავიდენთ“ — მეთქი, ჩვენ გავახსენეთ 4 აპრილის 1877 წლის კონვენცია, რომლითაც ჩვენ შეეკავრით რუსეთს და რომლითაც ეს სახელმწიფო დაგვპირდა, რომ ის ჩვენს ერთობას, რუმინიის გაუნაწილებლობას არ შეეხება. ჩვენ იმდენი მსხვერპლი მოვიტანეთ ამ ომში, იმდენი სისხლი დაველვარეთ, რომ იმედი გვაქვს, ევროპა დაფასებს ამ ჩვენს მსხვერპლს და აღიარებს, რომ ღირანი ვართ სრული თავისუფლებისა და ერთობისა.“

თითქმის ამ გვარივე სიტყვა წარმოთქვა სენატში მინისტრმა ბრატიანუმ.

ოლიეს სიტყვა ქებამაც და სენატ-

მაც აღტაცებით მიიღო და დასდეა გადაწყვეტილება, რომ რუმინია ერთს ნაჭერს თავის მიწას ვერ დაუთმობს ვერავისაო.

—

გაზეთს „Indépen. Belge“-ში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა 4 თებ. ვენიდამ მოსულები:

„გადაწყვეტილია, რომ კონფერენციის მაგიერად კონგრესი უნდა შეიკრიბოს ბადენ-ბადენში. ბრაფ ანდრასიმ უკვე აცნობა ეს ამბავი უცხო ქვეყნის ყველა სასახლეებს და მოიწვია ისინი მომავალს კონგრესზედ.

„ამბობენ, რომ ეს კონგრესი ორი კვირის განმავალობაში იქნებაო. ამბობენ აგრეთვე, რომ ინგლისი და ავსტრია დათანხმდნენ ერთმანეთშიო. ავსტრიის მმართველობას როტშილდთან და სხვა ბანკირებთან აქვს მოლაპარაკება ფულების სესხების თაობაზედ.“

—

გაზეთს „Голосъ“-ში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა ოზურგეთიდამ მოსულები:

„ნამდვილად ამბობენ, ოსმალოს მთავრობას განზრახვა აქვსო, რომ ქობულეთისა და აჭარის მცხოვრებლებს უნდა ჩამოართვას ის თოფები, რომელიც ამ ომის დაწყებისა-თანავე დაურიგა სამხედრო მთავრობამ. ამბობენ აგრეთვე, რომ ოსმალებს თავიანთი ჯარები ცხის-ძირიდამ ბათუმში მიჰყავთ.“

არა გვგონია, რომ ამ უკანასკნელ ამბავს რამე საფუძველი ჰქონდეს. როგორც მოგეხსენებათ, დროებით მორიგების პირობებში ბათუმზე სიტყვაც არ არის მოხსენებული; დაძნელად წარმოსადგენია, რომ ოსმალებმა თავის ნებით გაიყვანონ ჯარები ცხის-ძირიდამ, რომელიც ბათუმის წინა-სიმაგრეთ, კლიტეთ, კარებათ ითვლება.

—

მეორე რუსული გაზეთი „Русскій Міръ“ იწერება ბათუმზედ:

„ბამოცხადებულს დროებით შერიგების პირობებში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი ბათუმზედ. ნუთუ ახლაც, როგორც 1829 წელსა, მდინარე ჩოროხისა და ჩოლოქის სახელები ეურიეს და ბათუმის შეძენა დაიწყოდათ! ბათუმი საჭიროა ჩვენთვის, როგორც ერთადერთი ადგილი ზღვის აღმოსავლეთის ნაპირზე, საჭიროა, რადგან ამის საშუალებით ჩვენ შეგვეძლია შუა აზიას და სომხეთთან გავმართოთ ვაჭრობა და აგრეთვე კავკასიის ვაჭრობის წარმატებისათვის და სტრატეგიულ პუნქტად. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ბათუმი ჩვენ დაგვრჩება“.

—

თფილისელი კორრესპონდენტი გაზეთის „Presse“-სა სხვათა შორის ამბობს, რომ დიდმა მთავარმა კავკასიის ნამესტნიკმა გამოაცხადა, რომ ყველა მაჰმადიანებს, რომელთაც ამ ომიანობის გამო, მიატოვეს მცირე აზიაში თავიანთი ბინადრობა, შეუძლიანთ ისევ თავის ქვეყანაში დაბრუნდნენო. ჭურთისტანიდამ და [illegible] უკანდან მოსულ ქრისტიანებს მთავრობა მუქთათ ურიგებს მიწასაო; მუშისა და ვანის მაზრებში რუსის მთავრობა წესდებაო.

—

ოსმისთვის მზადება

გაზეთის „Times“-ის მოწინავე სტატიაში შემდეგი სიტყვებია მოყვანილი:

„თუ რუსებმა დაიჭირეს სტამბოლი და ამთავითვე არ გამოაცხადე—რამდენ ხანს დარჩებიან აქ, ინგლისის მართებლობამ ამ შემთხვევაში ენერგიულად და მხნედ უნდა იმოქმედოს.“

სხვა სიტყვებით რომ ესთქვათ, ესე გამოდის, რომ ინგლისმა მაშინ რუსეთს ომი უნდა გამოუცხადოსო.

—

„Indépendance Belge“-ის ლონდონელი კორრესპონდენტი იწერება შემდეგ მბავს ამ გაზეთში 1 თებერვალს:

„უკელანი დარწმუნებით ამბობენ აქ, რომ ინგლისსა და რუსეთს შუა უკვეელად ბრძოლა ატყდებაო. მმართებლობა დიდ მზადებაშია: სამხედრო სამინისტრო დღე-და-ღამ ფაცურობს, ამზადებს თოფიარაღს, ჯარებს მილიციას და სხვ. უკელე ხომალდებს, რომელნიც შორს ოკეანეში არიან, ძრძანება გაუგზავნეს, რომ დაუბრკოლებლივ დაბრუნდნენ ხველთა-შუა ზღვაში.“

საგაასო

თავის გამართლება

უფ. რედაქტორო! წარსული წლის „დროების“ 224 ნომერში, „ღლიურის“ ნაწილში, დაბეჭდილია თქვენი ხაშველი კორრესპონდენტისაგან შეტყობინებული ამბავი, ვითომც ორ იქაურ გლეხს სადაეო მამულის თაობაზედ საჩივარი ჰქონდათ და ადგილობრივ პრისტავს,—ესე იგი მე, ერთი მოსჩივრისაგან განზრახულს, მეორე მოჩივრისათვის ჯოხით მეცემოს; გალახულს ვერ მოეთმინოს ეს და ის განმზრახველი კაცი მოეკლას.

თუმცა აშკარათ სჩანს, რომ ამ ამბავში მე ძალადა ვარ ჩაჩხირული, თუმცა საფიქრებელი არ არის, რომ აღგონიბიანმა კაცმა ჯოხით სცემოს ვინმეს მარტოდ-მარტო სხვისა განზრახულებით, თუმცა დასაჯერებელი არ არის, რომ თავში ტვინის მქონე კაცმა სხვისაგან ცემის სამაგიერო სხვას გადაუხადოს და ისიც იმით, რომ ის სხვა მოჰკლა,—ერთის სიტყვით, თუმცა ეს თქვენგან დაბეჭდილი ამბის გარემოებები ძალ-დატანებით არიან ერთმანერთზედ გადაბმულნი და მაშა სადამე არა ვითარი მნიშვნელობა არა აქვს მოფიქრებიანი ხალხისათვის, მაგრამ მაინც საჭიროდ ვრაცხავ ამ საქმის გარემოებამოგახსენოთ და მით შეგატყობინოთ, თუ ხანდისხან ზოგიერთი კორრესპონდენტები, მხოლოთ თვის ფანტაზიაზედ დანდობილნი, რა რიგად ხლართვენ ამბის გარემოებას და რა შეცდომილი დასკვნა გაოჰკვეთ და შეცდომაში შეჰყავთ თქვენი პატიოსანი მკითხველობა.

ეს ორი კაცი: კორრესპონდენტისაგან ტყვეთ, ჩემგან ნაცემი, ხაშველი ვერველი ი გორ ნახუცრიშვილა და, მისივე სიტყვით, ჩემ გამზრახველი აგრეთვე ხაშველი— ლუკა ნახუცრიშვილი იყო (ახლა მოკლული). ი აგორ ნახუცრიშვილმა იჩივლა უ. თუალისის მაზრის უფროსთან, როგორც აზრუნველმი (ოპეკუნმა) თავის ცოლის ძმისამ, მამულაშვილისამ, რომ ეს მამულაშვილი გაეყარა მედიატორების განაჩენით თავის ბიძაშვილებს და ძალუას, მაგრამ ისინი არ ანებებენ სახლს და კიდევ რაღაცა ნივთებს, რომელიც რგებოდა მის ცოლის ძმას. ამაზედ მაზრის უფროსისაგან მოვიდა მოწერილობა, რომ ეს საჩივარი გამეშინჯა და ჯეროვანი კმაყოფილება მიმეცა. ჩემმა გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ მედიატორების განაჩენის ძალით სახლი და ზოგი ავეჯი მართლა რგებოდა ი აგორ ნახუცრიშვილს (როგორც მზრუნველს); ამ სახლში სცხოვრებდა ნახუცრიშვილის ძალუა, მოხუცებული და იმ ქამად ავათმყოფი.

აქ მიზეზმა ნება არ მომცა, რომ ის მოხუცებული სახლიდან მაშინვე გამომეყვანა, და ამიტომ მივეცი ვადა ვიდრე მეორეთ მოვიდოდ ამ სოფელში.

მეორეთ ხაშში მისელა მომიხდა 13 დეკემბერს. მაშინ კი ი აგორ ნახუცარიშვილის კვალადი თხოვნით განკარგულება მოვახდინე, რომ ის სახლი მამასახლისს ჩაებარებინა იმისთვის; მაგრამ აქაც დაბრკოლება დამხვდა წინ; იქ მდგომ გლეხთა შემატყობინეს, რომ ის მოხუცებული სულ-მაბძავი წევსო და იმის იქიდამ გამოყვანა სწორედ კაცის კვლა იქნებაო; მე ამის დაჯერებას არ ვაპირებდი, მაგრამ მღვდელმა აბრამ ნახუცრიშვილმა და მღვდელ-მონაზონმა ბენნადიმ დამარწმუნეს ხალხის ნათქვამის სიმართლეზედ და თანაც დასამტკიცებლათ დაურთეს, რომ წინა საღამოს იმათ იმ მოხუცებულისთვის ზეთიც ეკუთხებინათ. აბლაც მეტი ლონე არ იყო უნდა დავმორჩილებიყავ გარემოებას,—ხელ მეორედ მივეცი ვადა სახლის ჩაბარებაზედ, და გამოუცხადე, რომ ჩაბარებამდი ხვედრ ქირას მიიღებ-მეთქი. ამ დროს ლაპარაკში ჩამოერია ლუკა ნახუცრიშვილი, გამოაცხადა, რომ ის მოხუცებული იმისი და არის და მასთანავე დამარწმუნა, რომ ეიდრე დარჩებოდა ამ სახლში, უეჭველად ქირას გადიხდიდა; ხოლო ნივთების ჩაბარება იმ წამსვე ითხოვა მამასახლისის ხელით. ამაზედ ი აგორამ უარი სთქვა, იმას უნდოდა ერთად ჩაებარებინა სახლიცა და ნივთებიცა. ამით გავათავე.

მეორეს დღეს, როცა წამოსასელელათ მოვემზადე, შემოვიდა ოთახში, სადაც მე ვიყავ, ი აგორ ნახუცრიშვილი და მკითხა: „არ მაბარებ სახლსაო?“ მე განუმეორე, რომ ვერა-მეთქი, ვიდრე როგორმე არ მორჩებოდა მოხუცებული. მაშინ გაბრაზებული გავიდა გარეთ და კარებიდამ შემომძახა: „იმდენი ფული არა მაქვსო, რამდენიც ლუკა ნახუცრიშვილსაო, რომ ქრიამით დაგიბარებთ და ამართალი მივიღოე.“ ი დროს

ში ხელში ნეკის სიმ ხო წკეპლა მეჭირა (შემთხვევით). მეტად ნაწყენი იმ უშვერის სიტყვებით, გავექანე იაგორ ნახუცრიშვილისაკენ იმ განზრახვით მითომ, რომ მეცემა; სიცხარით ველარა გავიგე-რა, დაუქნიე რამდენჯერმე ის წკეპლა, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, ისე ეიწროო დერეფანი იყო, რომ ჯოხის წვერი კედელს ედებოდა და იაგორ კისალსალამათი გადამრჩა. ის დროს იქ დერეფანში მდგარიყვნენ თითონ მამასახლისი, ერთი იქაური ოჯახის შვილი აბრამ ხაბაზიშვილი და აგრეთვე კარებისკენ მოდიოდა იქ შესასვლელად სვიმონ ნახუცრიშვილი,—რომელთაც ნახეს ესე ყოველივე. იაგორა შემოვაბრუნე ოთახში და მის უშვერ მოქცევაზედ შევადგინე ოქმი. ამ აყალ-მაყალზედ მოვიდა ლუკა ნახუცრიშვილიც, რამდენიმე მკვახე სიტყვა უთხრა, როგორც თავის გაზდილს, და ამას შემდეგ გამოვედით სულ ერთად და მე წამოველი სართაჭალას.

ეს პირველი ნაწილია საქმისა, რომელშიაც, როგორც ნახეთ, მეც ვარ მონაწილე.

ამ ამბის მეორე ნაწილი მოხდა უჩემოთ, და მე მოგახსენებთ ამას სხვისა—იქ დამსწრეთ სიტყვითა.

15 ქრისტისშობას, დილით, ლუკა ნახუცრიშვილს ჩამოველო დუქანთან, სადაც იაგორ ნახუცრიშვილი იყო დახლიდრათ, და ერჩია მამასახ.ისისათვის, რომ იმას წამოეყვანა ჩემთან იმისი შვილი იაგორ, თითონ ის ჩემი შეურაცხმყოფელი ი გორაც, სვიმონ ნ ხუცრიშვილი და ბოდიში მოეთხოვინებინათ ჩემთან, რომ მეპატიებინა იაგორასათვის დანაშაული. შემდეგ ჩასულიყო თავის ზვარში, მერე ხელ-მეორედ შესულიყო იმავე დუქანში, თან შეეყვანა ქალაქელი სირაჯი, მამასახლისი და კიდევ სხვა, და იაგორასაგან მოეთხოვნა რომი და მისთვისაც არაყი ეთავაზებინა; ხუმრობაც ჰქონდათ ერთმანეთში ლუკას და იაგორას, როგორც ბიძა ძმისწულს, სრულებით არაფერი გულ-ძვირობა არ ეტყობოდათ თურმე. შემდეგ მიეცა ფული ლუკას და გამოსულიყვნენ დუქნიდან. ზოგნი წასულიყვნენ; ლუკა მდგარიყო დუქნის წინ, და რამდენიმე წამს შემდეგ ეთქო მამასახლისისთვის: არ მოვიდა დროეო, სულ უნდა მატყუოეო, წამოდი და დაბეჭდე იაგორას ლვინოებიო (შვიდი თუმანი ჰმართებოდა იაგორას ლუკასი და გადაწყვეტილიცა ჰქონოდა სუდისგან). ამ სიტყვის თქმაზედ ი გორას დახლიდგან: გინება დაუწყო ლუკას დაეძახნა: რატო „წიკლაო“ (წიკლა ყოფილა მეტი სახელი ი გორასი). შენი მეშინიანო, შენ ხომ ერთი სილის ბანდა ხარო. იაგორა ხუცრიშვილი გამოულიყო და დასდგომოდა წინ ლუკას ეთქო აი, ბიძაჩემო, შემომკარო. ლუკას ჩაეცინა და ჩთქვა: „თუ შემოგკარო შენი ხანჯლისა კი არ შემეშინდესო“. ი ვწამს იაგორას კაეძრო ხანჯალი და ეთქვა: აი თუ არ გეშინიანო,— და მსწრაფლ ეტაკებინა მუცელში (აქ უნდა ესთქვათ, რომ იაგორას ხანჯალი მუდამ ზედ ერტყა ხოლმე).

ესეც მეორე ნაწილი ამ საქმისა. აბა, თქვენი ჭირიმე, რა კაეშირი აქვს ერთმანერთში ამ ორ ნაწილს საქმისას? სად ცემა, სად კაცის კელა? აქ ბევრ მოსაზრებას მოგახსენებდით, მაგრამ საქმე ისე ცხადია და უბრალო, რომ ყველა ამ ამბის წამკითხველს თითონ მოუვა ის მოსაზრებაები.

სართაჭალის უჩასტკის პრისტავი

დავით ნაცვლოვი

იანვრის 20, ს. სართაჭალა

კავკასიის საბანკო ინსტიტუტი

მშობიარე ქალები მიიღებიან ყოველთვის დღე და ღამე; ფასი დღეში 50 კაპ., ღარიბები უფასოთ მიიღებიან.

ცალკე ოთახების ქირა თვეში 30—50 მანეთამდის არის.

მიღება ავათმყოფთა—ქალებისა და უმაწვილებისა.

ქალის ავათმყოფობისათვის:

ოთხშაბათობითა და შაბათობით 12 ხ თიდან 1-მდინ—დოქტორი ოლანოვი.

სამშაბათობით და შაბათობით 11-დ ან 12-მდინ—დოქტორი ალბანუსი.

საუმაწვილო ავათმყოფობისთვის:

ხუთშაბათობით 11 საათიდამ 12-მდინ და ვირაობით 10-დამ 11-მდი—დოქტორი შანოვი.

შაბათობით 12 საათზე რჩევა დოქტორების: ქლერტის, ალბანუსის და ოლანოვის.

ინსტიტუტთან ახლად გაიხსნა განყოფილება, რომელშიაც საქალებო ავათმყოფობას აიჩენენ. ამ განყოფილების საზოგადო ოთახში ავათმყოფთა უნდა აძლიონ დღეში— 50 კაპ., ცალკოთახებში კი დღეში— 1 მან.

განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება „ცოლი ვიტირო, თუ ფული?“

კომედია აღე. თუთაევისა

ისყიდება: ქალაქში—ყველა წიგნის მაღაზიებში და ალექს ჯამშეროვთან, თელავს—იოსებ ალუზმანაშვილთან, ქარელს—დავით ქერჩაშვილთან, ხაშურისა და ბეჟათუბნის პუნქტებში, სურამს—ზაქარია არუწოვთან, ქუთაისს—იაკობ ოსანეზოვთან და სე. ცარეაძესთან ფოთში—ილისბარ ბაბალოვთან, ცხინვალს—თ. ივ. თაქთაქოვთან, საქაშეთს—თ. ნიკ. დიასამიძესთან, მეჯვრისხევს—მასწ. მოსე ნათაძესთან, ბორში—სტ. ზომოევთან და თეითონ ავტორთან.

(5—4)

რკ. გზა	ცილ.		საღამ.		II კ.		III კ.	
თბილისი	9	21	5	18				
მცხეთა	10	11	6	27	-	58		38
ბორი	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი	1	44			4	42	2	46
უვირილა	5	49			5	81	3	23
რიონი	6	47			6	75	3	75
სამტრედია	7	41			7	73	4	29
ახ.-სენაკი	—	—			8	57	4	76
ფოთი	9	40			9	75	5	42
ფოთი	9	13						
ახ.-სენაკი	—	—			1	18	-	66
სამტრედია	11	16			2	6	1	14
რიონი	12	13			3	4	1	69
უვირილა	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი	7	5	4	8	6	36	4	9
მცხეთა	8	50	6	59	9	8	5	4
თბილისი	9	31	7	56	9	71	5	42

ტელეგრაფი

	მ.	კაპ
ოცი სიტყვა თბილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს	1	—
ბორს, დუშეთს, სიღნაღს	-	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას	2	—
ოსმალეთში, შეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში	3	50
ინგლისში	3	75

ფოსტა

ა) თბილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ახალციხ.—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თბილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში	კაპ.
და სამზღვარ გარეთ:	
ლია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი)	8

ბირჟა

	მან.	კაპ
პეტერბურგი, 12 თებერ.		
ერთი ანეული ლირს:		
ლონდონში 23 ბ ენსი	—	78
პარიეში 263 სანტიმი	—	62
ესკონტი (საგებლისფასი)	7½	
ბანკის ბილეთი 5%	95	
მოგებიანი (პირველს ხ	235	5
მოგებიან. (მეორე სესხი)	235	5
ბირაოს ფურცლები:		
ფილ. საბან. ბანკისა		
ხარსონის ბანკი	83	25
მოსკოვის	83	50
აქციები:		
ოდესის საკარო ბანკის	177	—
ფოთი-თბილ. რკინ. გზის	—	—
შავი ზღვის ცეცხ. გემების	527	—
ქავკაზის და მერკურის	225	—
პირვ. საზღვეგ. საზ.	745	50
პეტერბ. საზღვ. ტ. ზ.	235	50
მოსკოვის საზღვეგ. საზ.	268	—

მაზანდა

	ს.	კაპ
თბილისი, 14 თებერ.		
ფქვ. თეთ. ბანგისა, ფუთი	1	90
ფქვილი წითელი	1	70
ქერი ფუთი	1	40
ბალბა ბრეგნისა, ფუთი	8	—
— ამერიკისა, ფუთი	8	30
ბაჰენტილი ბამბა ფუთი	12	—
მატყლი თუშური ფუთ.	8	40
— თარაქამისა ფუთ.	4	30
ბარეკეტი ნიუტონ სტ.	2	—
ქონი, ფუთი	6	40
ქონის სანთელი ფუთი	8	—
სტეარინის სანთელი, ფ.	14	40
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	90
— ცხვრისა, ლიტრა	—	90
სპირტი, გრადუსი	—	15
შაქარი, ბროკ. ფუთი	7	80
— ფხვნილი ფუთი	8	—
ბაკა გრეგალი, გირვ.	—	80
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	13	50
ოქრო ½ იმპერიალი	7	10

Дозволено цензурою Тифлисъ, 14 Февраля 1878 г. Типографія Меликова. გამომ. კომ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.